წერილის ნომერი:**47-47222946**
თარიღი: **21/10/2022**

**ადრესატი:**

ირაკლი კუჭავა
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზვიდი მამალაძის 2021-2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში**

**თვითმმართველი ერთეულის დასახელება:**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:** ზვიადი მამალაძე.

**მაჟორიტარული ოლქის დასახელება:** ნაბეღლავი, ხევი, დაბა ბახმარო 62-10

**საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

**საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი:** სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია; სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

**საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი:** ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

**საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში):** მაჟორიტარული წესით არჩეული, ნაბეღლავი, ხევი დაბა ბახმარო 62.10.

**საანგარიშო პერიოდი:** 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის 01 ნოემბრამდე.

**ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე):** მორიგი.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა**

**სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა:**13 სხდომა.

**საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება**:11 სხდომა.

სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი-19 სხდომა. საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება- 18 სხდომა.

სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 13 სხდომა,

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება: 10 სხდომა.

**საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები:** საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ ინიციებული

საკითხები არ ყოფილა, მქონდა გარკვეული სახის შენიშვნები წარმოდგენილ პროექტებზე, რაც გათვალისწინებულ იქნა, ასევე მუდმივი კომუნიკაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან და მათ მიერ ხდებოდა ოფიციალური ფორმით საკრებულოს სხდომაზე დადგენილებისა თუ განკარგულების პროექტების წარმოდგენა.

**საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილება; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ; ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/12/2021 წლის N 77 განკარგულება.

**საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა**- მიმაჩნია, რომ საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი ყველა საკითხი მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის (საჭიროებიდან გამომდინარე განხილვების დროს ვაფიქსირებდი შენიშვნებს.).

**საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა**: საჭიროებიდან გამომდინარე ყოველდრიურ რეჟიმში მაქვს მოქალაქეებთან შეხვედრები.

**მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:** ძირათად პრობლემებს ჩემს სამაჟორიტარო ოლქში წარმოადგენს შიდა გზების მოწესრიგება, მოქალაქეები ასახელებენ სხვადასხვა სოცილურ თუ ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის სირთულეებს ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

კურორტ ბახმაროში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემის არარსებობა, შიდა გზები და უკანონო მშენებლობები, სამანქანე ხიდის რეაბილიტაცია და უმეთვალყურეო წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილება.

**მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):** მაქსიმალურად ვახდენ რეაგირებას მოქალაქეთა მიერ წამოჭრილ პრობლემებზე, ჩემი შუამდგომლობით არაერთ მოქალაქეს გავუწიეთ სოციალური დახმარება, მუდმივად ვსწავლობ მათ საჭიროებებს და ვახდენ შესაბამის რეაგიებას და მივმართავ შესაბამის უწყებებს.

სოფელ ბჟოლიეთში ფუნქცია შეიძინა და მოეწყო ე.წ კალაშას გზა.

ხევში დაიგო შიდა სასოფლო გზები სამი მიმართულებით, ასევე ამჟამად მიმდინარებს სოფლის პროგარამის ფარგლებში გზის რეაბილიტაცია.

ბუქსიეთში მიმდინარეობს ახალი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობის პროცესი, მოხდა ახალგაზრდული ცენტრის რებილიტაცია, აღიჭურვა ბილიარდის მაგიდითა და რბილი ავეჯით.

ქვაბღაში მიმდინრეობს შიდა გზების რებილიტაცია.

მიმდინარეობს ქვაბღის ხდის მშენებლობა.

ჩხაკაურაში გაიხსნა ახალი სკოლა.

ბახმაროში დამონტაჟდა ლედ განათების სისტემა, გაიხსნა ახალი მოსასვენებელი სკვერი.

საჭიროებიდან გამომდინარე მუდმივად იწმინდება შიდა გზები.

**ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ:** ჩემს პრიორიტეტს წარმოადგენს ჩემს სამაჟორიტარო ერთეულში მოქალაქეთა საჭიროებების შესწავლა და მასზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

ასეევე მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით არსებული პრობლემების შესწავლა.

მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მორგება მოქალაქეთა საჭიროებებზე.

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი და მომავალი წლის სამოქმედო გეგმის განხილვა.

კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება და სამომავლო აქტივობების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება.

ხევი ერკეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

ანგარიშის მომზადების თარიღი 21.10.2022 წ.

ანგარიშის წარდგენის თარიღი 21.10.2022 წ.

პატივისცემით,

ზვიადი მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია-კომისიის თავმჯდომარე